

ეროვნული ჩარჩო

საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) გახორციელებისთვის ქვეყნის მზადყოფნის მიმართულებით. მთავრობის ხელმძღვანელობით შეიქმნა საკოორდინაციო მექანიზმი - საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, "მერა XXI"-ის, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და სხვა პარტნიორების წარმომადგენლობით - და გაეროს კატასტროფების მართვის გუნდთან (DMCT) თანამშრომლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს ჯანმო. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხები რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით და ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტებით, რომლებიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებში შესაბამისი უწყებების მექანიზმებსა და პასუხისმგებლობებს: რეაგირების ეროვნული გეგმა - სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცება, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილება № 50, რომელიც განსაზღვრავს რეაგირებაზე პასუხისმგებელი ძირითადი და დამხმარე უწყებების ფუნქციებს, პასუხისმგებლობებს და კოორდინაციის მექანიზმებს. სამართლებრივ ნორმებს აღგენს საქართველოს კანონი „სამოგალობრივი უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს კანონი „სამოგალობრივი ჯანმრთელობის შესახებ“. მიუხედავად პროგრესისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმებში ჯერ არ წარმოებულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) ჩარჩო.

გამოწვევები

რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტი (MISP) არ არის სრულად ინტეგრირებული ჯანდაცვის სამინისტროს კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმებში.

არ არსებობს ოჯახის დაგეგმვის მიმართულებით მომსახურებათა მიწოდების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების პოლიტიკა, რაც მწლდავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებებზე წვდომას.

რისკების შეფასებისას არ წარმოებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების გათვალისწინება.

გემოქმედება

- ა. რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტი (MISP) სრულად არ არის ინტეგრირებული ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმებში; განსაკუთრებით ეს ეხება ოჯახის დაგეგმვით გათვალისწინებული საქონლის მომარაგებას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ), ასევე, ოჯახის დაგეგმვის მომსახურებათა განვითარება და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხები შესულია 2017-2030 წლების დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგიასა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში. 2020 წლის 17 ივლისს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, რეზოლუციით №01-351/ო დაამტკიცა კრიზისულ სიტუაციებში გაუპატიურების მსხვერპლთა კლინიკური მართვის სტანდარტი - გაუპატიურების მსხვერპლთა კლინიკური მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), რომელიც ასევე მოიცავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მომებს, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე (სრჯ) მრჩევას.
- ბ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კანონმდებლობა/პოლიტიკა, რომელიც მწლდავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) მომსახურებათა მიწოდებას გარკვეული ჯგუფებისთვის (მაგ., მიგრანტები, საბუთის გარეშე ქვეყანაში მცხოვრები მიგრანტები, ლგოლელები, ახალგაზრდები, ქორწინებაში არ მყოფი პირები, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამობავებისა და სქესის მახასიათებლების მქონე პირები (SOGIESC), აიე-ინფორმირებული პირები, სექსმუშაკები) და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ეხება ყველას, იგი ძირითადად ფოკუსირებულია დედათა მოვლის მომსახურებებზე, ამეზიდ არ არსებობს სახელმწიფო სახსრები, რომლებიც მიმართული იქნება ოჯახის დაგეგმვის ფარგლებში კონსულტაციებისა ან მომსახურების მიწოდებაზე. არც ერთი აღნიშნული მომსახურება არ არის წარმოდგენილი არც სახელმწიფოს დახმარების პაკეტში და არც კერძო სადამლევეო სექტორში.
- გ. რისკების მიმდინარე შეფასებები არ ითვალისწინებს მემოქმედებას სხვადასხვა პოპულაციამ (მაგ., ქალები, მებლუღელი შესაძლებლობის მქონე პირები, აიე ინფორმირებული პირები, სხვადასხვა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამობავებისა და სქესის მახასიათებლების მქონე პირები (SOGIESC), ახალგაზრდები, სექსმუშაკები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.), რისი შედეგაც არის არაადეკვატური რეაგირება და ქმედებები, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების პროცესებში, რადგან არ წარმოებს მარგინალიზებული და მომსახურებებით არახაზინადოდ უზრუნველყოფილი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება.

გამოწვევები

4. რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) ინდიკატორები არაადეკვატურად არის ინტეგრირებული ჯანდაცვის არსებულ საინფორმაციო სისტემებში.

5. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა არ არის ჩართული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯანდაცვის ნაწილში.

ზემოქმედება

დ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) ინდიკატორების ნაკრები ნაწილობრივ ჩართულია ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემაში: 2. დემოგრაფია, 4. აიუ პრევენცია და რეაგირება, 5. დედათა და ახალშობილთა ავადობა და სიკვდილიანობა - სრულად; 6. უსაფრთხო ორსულობა და სხვა ნაწილები. ხელმისაწვდომია სტატისტიკური გზით გადაღები ინფორმაციის რეგისტრაციისა და სტატისტიკის სისტემა. თუმცა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) ინდიკატორები სრულად არ არის ინტეგრირებული ჯანდაცვის არსებულ საინფორმაციო სისტემებში.

ე. საგანგებო სიტუაციებში - სამედიცინო გრიაჟის ბარათები ხელმისაწვდომია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა არ არის ჩართული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯანდაცვის ნაწილში, ასევე სექსუალური ძალადობის საკონსტრუქციო კითხვარში, რომელიც ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის დონეზე, რაც აფერხებს მონაცემთა შეგროვებას.

რეკომენდაციები

- საჭიროა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) ჩართვის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სექტორულ ეროვნულ გეგმაში: ჯანდაცვის სამინისტროს კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმები.
- საჭიროა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დაკავშირებული მიზნებისა და 2021-2023 წლების დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმის გახორციელება.
- საჭიროა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების ჩართვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტში, განსაკუთრებით მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის.

წყაროები

- [საქართველოს კანონი საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ](#)
- სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის № 50 დადგენილება
- დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა
- გაუპატიურების მსხვერპლთა კლინიკური მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) №01-351 / ო
- ასოციაცია "ჰერა XXI", [დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება 2017-2019 წწ.](#)
- დაგეგმილი მშობლობის საერთაშორისო ფედერაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რეპროდუქციული ჯანმრთელობის პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დანერგვისთვის მზადყოფნის შეფასება, საგანგებო სიტუაციებში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) დანერგვისთვის მზადყოფნის შეფასება.

შემუშავებულია
სრულ სამუშაო ვერსიის მიერ: ასოციაცია HERA XXI,
გაეროს მოსახლეობის ფონდი UNFPA
სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ
© ყველა უფლება დაცულია

